

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №445

2014 წლის 9 ივლისი

ქ. თბილისი

საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) დამტკიცებისა და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 5 ივლისის №169 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს მთავრობას ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებელი უწყებათაშორისი საბჭოს მიერ წარედგინა „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის)“ პროექტი. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, არსებობს ცალკეული ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ კონკრეტულ სფეროებში სახელმწიფო სტრატეგიას, ამტკიცებენ სამოქმედო გეგმებს და მათი შესრულების საკოორდინაციოდ ქმნიან უწყებათაშორის საბჭოებს, საქართველოს მთავრობა მნიშვნელოვნად მიიჩნევს მოქმედი აქტების პარალელურად მიღებულ იქნეს საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2014-2015 წლებისთვის), რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიასთან (2014-2020 წლებისთვის) შესაბამისობაში განსაზღვრავს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განსახორციელებელი პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „კ“ ქვეპუნქტებისა და 29-ე მუხლის პირველი პუნქტის, ასევე, საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 აპრილის №2315-III დადგენილების შესაბამისად, დამტკიცდეს:

ა) საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2014-2015 წლებისთვის) (დანართი №1);

ბ) საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს დებულება (დანართი №2);

გ) საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს (შემდგომში – საბჭო) შემდეგი შემადგენლობა:

- საქართველოს პრემიერ-მინისტრი – საბჭოს თავმჯდომარე;
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი – საბჭოს თანათავმჯდომარე;
- საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში – საბჭოს მდივანი;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო – მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;
- საქართველოს მთავარი პროკურატურა – მთავარი პროკურორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;



- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო – მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო – მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო – მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;
- ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი – სახელმწიფო მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი – სახელმწიფო მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;
- დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი – სახელმწიფო მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო – მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;
- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო – მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;
- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო – მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო – მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო – მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო – მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;
- საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო – მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;
- საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო – მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო – მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო – მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

საბჭოს მუშაობაში, სათათბირო ხმის უფლებით, მონაწილეობა ეთხოვით:

- საქართველოს უზენაეს სასამართლოს;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს;
- საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს;
- საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს;



- საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს;
- საქართველოს სახალხო დამცველს (სახალხო დამცველის აპარატს);
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლობას საქართველოში;
- ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში;
- ევროპის საბჭოს წარმომადგენლობას საქართველოში;
- USAID-ის წარმომადგენლობას საქართველოში;
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას;
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას;
- ადამიანის უფლებათა დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციას - კონსტიტუციის 42-ე მუხლს;
- საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს;
- ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

დანართი №2

საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისთვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭო (შემდგომში – საბჭო) შექმნილია საქართველოს მთავრობის დადგენილებით.
2. საბჭო იქმნება განუსაზღვრელი ვადით.
3. საბჭოს სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით.
4. საბჭო ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის წინაშე.

მუხლი 2. საბჭოს სტრუქტურა და შემადგენლობა

1. საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.
2. საბჭოს შემადგენლობაში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა გარდა, სათათბირო ხმის უფლებით, შეიძლება იყვნენ სხვა სახელმწიფო დაწესებულებების, შესაბამის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, ადვოკატთა ასოციაციის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები და მეცნიერები.
3. საბჭოს შემადგენლობაში შემავალი პირების მიერ ამ დებულებით განსაზღვრული უფლებებისა და ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, საბჭოს შემადგენლობაში შემავალ პირს შეუძლია განახორციელოს უფლებამოსილების დელეგირება შესაბამისი წერილობითი დოკუმენტის საფუძველზე.
4. საბჭოს ის წევრები, რომლებიც წარმოადგენენ აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებს, საბჭოს წინაშე პასუხისმგებელნი არიან საკუთარი სამინისტროს/სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ამ



დადგენილებით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით ანგარიშისა და ინფორმაციის წარდგენაზე.

მუხლი 3. საბჭოს ძირითადი ამოცანები

საბჭოს ძირითადი ამოცანებია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) (შემდგომში – სამოქმედო გეგმა) შესრულების კოორდინაცია, სამოქმედო გეგმის შესახებ რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება, მისი განხორციელების მონიტორინგი (რაც მოიცავს სამოქმედო გეგმის შესრულების რაოდენობრივი კრიტერიუმებით შეფასებას, სადაც ასახულია თემატურ-სტატისტიკური პარამეტრები და ავლენს სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესულ და პრობლემურ მხარეებს) და საქართველოს მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის წინაშე ანგარიშგება.

მუხლი 4. საბჭოს უფლებამოსილება და ვალდებულებები

დასახული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად საბჭო:

ა) უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და დაწესებულებებიდან გამოითხოვოს თავისი საქმიანობისათვის საჭირო ინფორმაცია;

ბ) უფლებამოსილია, შექმნას სამუშაო ჯგუფები და მოიწვიოს დამოუკიდებელი ექსპერტები თავის კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესწავლისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავების, ასევე, ანგარიშების მომზადების მიზნით;

გ) უფლებამოსილია, სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით მოამზადოს წინადადებები და რეკომენდაციები, რომელსაც წარუდგენს საქართველოს მთავრობასა და პრემიერ-მინისტრს;

დ) ვალდებულია სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით, არა უგვიანეს ყოველი წლის 15 მარტისა, მოამზადოს ყოველწლიური ანგარიში (რომელიც უნდა შეიცავდეს თემატურ სტატისტიკურ პარამეტრებს, სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესული და პრობლემური მხარეების გამოსავლენად), რომელიც წარედგინება საქართველოს მთავრობას, ხოლო არა უგვიანეს 31 მარტისა, საქართველოს პარლამენტს. საბჭოს მიერ მომზადებული ანგარიში საჯაროა;

ე) თანამშრომლობს სახელმწიფო დაწესებულებებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ვ) უფლებამოსილია, განახორციელოს სხვა საქმიანობა, რომელიც ამ დებულებაში პირდაპირ არ არის მითითებული, მაგრამ აუცილებელია საბჭოს ამოცანების შესასრულებლად.

მუხლი 5. სამუშაო ჯგუფები და დამოუკიდებელი ექსპერტები

1. საბჭო ამ დებულებით გათვალისწინებული ამოცანების ეფექტიანი განხორციელების მიზნით, უფლებამოსილია, ხმათა უმრავლესობით, შექმნას სამუშაო ჯგუფები, რომლებშიც შედიან საბჭოს წევრები.

2. სამუშაო ჯგუფი თავისი შემადგენლობიდან ირჩევს სამუშაო ჯგუფის მომხსენებელს, რომელიც სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს, წინადადებებსა და ანგარიშებს წარუდგენს საბჭოს.

3. სამუშაო ჯგუფები იკრიბება არანაკლებ 2 თვეში ერთხელ.

4. სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში სამუშაო ჯგუფის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, სათათბირო ხმის უფლებით, შესაძლებელია, ჩართული იყვნენ პროფილური არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე, ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლები.

მუხლი 6. საბჭოს მუშაობის ორგანიზება

1. საბჭოს ხელმძღვანელობს და მის სხდომებს წარმართავს საბჭოს თავმჯდომარე.

2. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს საბჭოს თანათავმჯდომარე, ან საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, საბჭოს მდივანი.

3. საბჭოს საქმიანობის ადმინისტრირებას, ორგანიზაციულ და ანალიტიკურ მხარდაჭერას ახორციელებს



4. საბჭოს სხდომების პერიოდულობას, დაკისრებული ფუნქციების გათვალისწინებით, განსაზღვრავს საბჭოს თავმჯდომარე. საბჭოს სხდომები იმართება არანაკლებ 6 თვეში ერთხელ.
5. საბჭოს სხდომის დღის წესრიგს ამტკიცებს საბჭოს თავმჯდომარე.
6. საბჭოს სხდომაზე საკითხის გატანის უფლება აქვთ საბჭოს თავმჯდომარეს და წევრებს, აგრეთვე, საბჭოს მომხსენებელსა და სამუშაო ჯგუფის მომხსენებელს.
7. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.
8. საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.
9. საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.
10. საბჭოს სხდომის ოქმი ეგზავნებათ საბჭოს წევრებს, სამუშაო ჯგუფის წევრებსა და დამოუკიდებელ ექსპერტებს.

**საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2014–2015 წლებისთვის)
(დანართი №1)**

1. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება					
მიზანი	ამოცანა	საქმიანობა/ ღონისძიება	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ვადა	ინდიკატორი
1. სისხლის სამართლის კანონმდებლობის გადახედვა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების კუთხით	1.1. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დახვეწისათვის საჭირო ცვლილებების ინიცირება	1.1.1. შეჯიბრებითობის პრინციპის და დაცვის მხარის უფლებების განმტკიცება	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;	2014	მომზადებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები
		1.1.2. საპროცესო შეთანხმების რეფორმა	სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განმახორციელებელი უწყებთაშორისი საკოორდინაციო საბჭო	2014	ინიცირებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები
		1.1.3. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმა	სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განმახორციელებელი უწყებთაშორისი საკოორდინაციო საბჭო	2014	ინიცირებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები
		1.1.4. დაზარალებულთა უფლებების განმტკიცების მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება	სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განმახორციელებელი უწყებთაშორისი საკოორდინაციო საბჭო	2014	ინიცირებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები
		1.1.5. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში პირადი ცხოვრების უფლების დაცვისათვის საჭირო ევროპული სტანდარტების დასამკვიდრებლად აუცილებელი საკანონმდებლო ინიციატივების მომზადება	მთავარი პროკურატურა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან თანამშრომლობით	2014-2015	მომზადებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები
	1.2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის		საქართველოს იუსტიციის სამინისტრო		



ლიბერალიზაციის, მოსამართლის დისკრეციის გაზრდის, ნათელი და განჭვრეტადი სისხლის სამართლის ნორმების ფორმირების მიზნით, ცვლილებების პროექტის მომზადება	1.2.1. ზოგადი ნაწილის პროექტის მომზადება	საქართველოს მთავარი პროკურატურა	2014-2015	მომზადებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები
	1.2.2. კერძო ნაწილის პროექტის მომზადება	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მთავარი პროკურატურა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	2014-2015	მომზადებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები
1.3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სისტემური გადასინჯვა	1.3.1. საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების კოდექსის სისტემურად ახალი პროექტის შემუშავება; ადმინისტრაციულ პატიმრობასთან დაკავშირებული ნორმების სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან შესაბამისობაში მოყვანა.	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მთავარი პროკურატურა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	2014-2015	· სისტემურად გადასინჯულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი · საქართველოს სახალხო დამცველის წლიური ანგარიში
1.4. სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით მოსამართლის როლის გაზრდა	1.4.1. სისხლის სამართლის მატერიალური და პროცესუალური კანონმდებლობასა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ნორმების შესაბამისად მოსამართლის როლის გაანალიზება ადამიანის უფლებების დაცვის, მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფის, უფლებების დარღვევების პრევენციისა და დარღვევაზე რეაგირების კუთხით	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან თანამშრომლობით	2014-2015	მომზადებულია შესაბამისი კვლევა. კვლევის შედეგები ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის
	1.4.2. 1.4.1-ში გათვალისწინებული ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი საკანონმდებლო წინადადებების მომზადება და წარდგენა საკანონმდებლო ორგანოში	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან თანამშრომლობით	2015	მომზადებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები

<p>2. დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მართლმსაჯულების სისტემა</p>					
მიზანი	ამოცანა	საქმიანობა/	პასუხისმგებელი	შესრულების	ინდიკატორი



		დონისძიება	უწყება	ვადა	
<p>2. სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის გაუმჯობესება სასამართლოს სისტემის განგრძობადი რეფორმის მხარდაჭერის გზით</p>	<p>2.1. სასამართლოს დამოუკიდებლობის გაზრდის ხელშეწყობა სამართლიანი სასამართლოს პრინციპების შესაბამისად</p>	<p>2.1.1. საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება და ინიცირება მოსამართლეთა დანიშვნის წესის სრულყოფის, უვადოდ დანიშნამდე, 3 წლის ვადით დანიშნული მოსამართლეების საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმების შემუშავების, მოსამართლის საქმიანობაში ჩაურევლობის მკაფიო გარანტიების ჩამოყალიბების, საქმეთა ავტომატური განაწილების სამართლიანი პრინციპის შემოღების, მოსამართლეთა მივლინების პროცედურის მოწესრიგების, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით;</p> <p>2.1.2. ინდივიდუალური მოსამართლის სამართლიანი ანაზღაურებისა და სოციალური დაცვის სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა</p>	<p>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო</p> <p>საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთან თანამშრომლობით</p>	<p>2014</p>	<p>ინიცირებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები</p>
	<p>2.2. მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების სისტემის გაუმჯობესების მხარდაჭერა სამართლიანობის, ობიექტურობისა და მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით</p>	<p>2.2.1. საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და წარდგენა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის დახვეწის, მოსამართლეთა დაცვის დამატებითი სამართლებრივი გარანტიების შექმნის, სამართალწარმოების ეტაპების ოპტიმიზაციისა და ზოგადად დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით.</p>	<p>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო</p> <p>საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთან და საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიასთან თანამშრომლობით</p>	<p>2014</p>	<p>ინიცირებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები</p>
	<p>2.3. სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის გაზრდის მხარდაჭერა საზოგადოებისა და მართლმსაჯულების ინტერესების სამართლიანი დაბალანსების პრინციპის შესაბამისად</p>	<p>2.3.1. სასამართლო აქტების საჯაროობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების მიზნით წინადადებების მომზადება და წარდგენა</p>	<p>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო</p> <p>საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთან თანამშრომლობით</p>	<p>2014</p>	<p>ინიცირებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები</p>
		<p>2.4.1. იუსტიციის უმაღლესი სკოლის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა მოსამართლეთა მომზადებისა და განგრძობადი განათლების პროგრამების პერიოდული განახლების მიზნით, ადამიანის უფლებების</p>	<p>საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის ფინანსთა სამინისტრო</p>		<p>იუსტიციის უმაღლესი სკოლას მიეწოდა შესაბამისი</p>



2.4. მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლება	სისტემური, მათ შორის სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების ეფექტური იმპლემენტაციის უზრუნველყოფის მიზნით.	საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან თანამშრომლობით	2014-2015	რესურსები მოსამართლეთა მომზადებისა და განგრძობადი განათლების პროგრამების პერიოდული განახლების მიზნით.
--	--	--	-----------	---

3. პროკურატურა

მიზანი	ამოცანა	საქმიანობა/ ლონისძიება	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ვადა	ინდიკატორი
3. „პროკურატურა - ადამიანის უფლებებზე დამართიანი, ეფექტური და გამჭვირვალე სისხლის სამართლებრივი დევნა“	3.1. დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ცვალებადი გამოწვევების შესაბამისი სისხლის სამართლის პოლიტიკის წარმოება	3.1.1. სისხლის სამართლის პოლიტიკის შემუშავების კოორდინაცია [პროკურატურის მხრიდან] სხვა სამართალდაცმავ ორგანოებთან თანამშრომლობით, საკანონმდებლო ბაზის, სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებითა და საზოგადოებრივი სექტორის მონაწილეობით.	მთავარი პროკურატურა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	2014-2015	<ul style="list-style-type: none"> მომზადებულია შესაბამისი ანალიზები და კვლევები მომზადებულია შესაბამისი რეკომენდაციები კრიმინოლოგთა სამუშაო ჯგუფის შეხვედრების რაოდენობა.
	3.2. საპროკურორო საქმიანობაზე კონტროლის არსებული სისტემის რეფორმა ეფექტურობისა და სისტემური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით	3.2.1. კონტროლის არსებული სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზისა და პრაქტიკის შესწავლა; რეფორმის კონცეფციის შემუშავება; საკანონმდებლო ცვლილებებისა და შიდა პოლიტიკის დოკუმენტის მომზადება.	მთავარი პროკურატურა	2014	<ul style="list-style-type: none"> შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები მომზადებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები; სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში.
	3.3. პროკურატურის კვალიფიკაციის ამაღლება და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საქმიანობის ფორმების დაწერვა	3.3.1. კვალიფიციური კადრების შერჩევა, მენარჩუნება და პროფესიული განვითარება	მთავარი პროკურატურა	2014-2015	<ul style="list-style-type: none"> პროკურატურაში მიღების სტანდარტის დადგენა; კონკურსის გავლისა და თანამდებობაზე მიღების კრიტერიუმების გაწერა; შეფასების სისტემის შექმნა; ატესტაციის სისტემის შექმნა;



					<ul style="list-style-type: none"> - ტრენინგ-საჭიროებების განსაზღვრა;
3.4.პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლება	<p>3.4.1.საზოგადოებაზე ორიენტირებული პროკურატურის განვითარება</p> <p>3.4.2.ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე არსებული სისხლის სამართლის საქმეების შესწავლა და კვარტალური ანგარიშების გამოქვეყნება;</p> <p>3.4.3. ადგილობრივი საბჭოების სხდომების გააქტიურება.</p>	მთავარი პროკურატურა	2014-2015	<ul style="list-style-type: none"> - საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება; - „საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტის ფარგლებში განხორციელებული პროექტების რაოდენობა; - საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით გატარებული ღონისძიებების რაოდენობა; - მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა რაოდენობა. - ადგილობრივი საბჭოების სხდომების რაოდენობა. - სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში; - ბრიფინგების რაოდენობა. 	
3.5.პროკურატურის ორგანიზაციული სტრუქტურის მოდიფიცირება სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით	3.5.1. შესაბამისი საკადრო გადაწყვეტილებების მიღება, საქმიანობის ხარისხიანად და ეფექტურად წარმართვის მიზნით;	მთავარი პროკურატურა	2014-2015	პროკურატურის ორგანოები აღჭურვილია შესაბამისი კვალიფიკაციის სათანადო ოდენობის კადრებით.	
3.6. პატიმრობისა და გირაოს გარდა სხვა აღმკვეთი ღონისძიების საშუალებების დანერგვა და გამოყენება	3.6.1. აღმკვეთი ღონისძიებების სახით პატიმრობისა და გირაოს გარდა სხვა საშუალებების შესახებ საკანონმდებლო ბაზის გადახედვის წინადადებების შემუშავება; შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება და დანერგვა.	მთავარი პროკურატურა	2014-2015	<ul style="list-style-type: none"> - პატიმრობისა და გირაოს გარდა სხვა საშუალებების გამოყენების სტატისტიკა. - სახალხო დამცველის ანგარიშები. 	
3.7.პროკურატურის მიერ აღდგენითი მართლმსაჯულების არატრადიციული ფორმის სისხლის სამართალწარმოების გაფართოება და გამჭვირვალე გამოყენება.	3.7.1. დისკრეციული უფლებამოსილების აქტიურად გამოყენება	<p>მთავარი პროკურატურა;</p> <p>საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობით</p>	2014-2015	დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების გაზრდილი მაჩვენებლის სტატისტიკა	



4. სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა

მიზანი	ამოცანა	საქმიანობა/ ღონისძიება	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ვადა	ინდიკატორი
4. პოლიციის სისტემაში დანაშაულის პრევენციისა და ეფექტური გამოძიების სტანდარტების გაუმჯობესება, ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების გაძლიერება და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.	4.1. ადამიანური რესურსების განვითარება, ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული ტრენინგებისა და გადამზადების მეშვეობით	4.1.1. პოლიციის საგამოძიებო შესაძლებლობების გაზრდა საბაზისო და სპეციალიზირებული ტრენინგის/გადამზადების კურსების მეშვეობით, მათ შორის ტრენინგები ტაქტიკურ და საგამოძიებო უნარ ჩვევებში	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	2014-2015	· ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა; · გადამზადებული პირების რაოდენობა;
		4.1.2. ტრენინგი შსს თანამშრომლებისთვის ტრენინგინგისა და უკანონო მიგრაციის საკითხებზე	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	2014-2015	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა
		4.1.3. შსს თანამშრომელთა მომზადება/გადამზადება არასრულწლოვნებთან მოპყრობის სამართლებრივ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე/საკითხებზე	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	2014-2015	· შსს პოლიციის აკადემიის პროგრამაში დანერგილი ახალი კომპონენტი; · გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა.
		4.1.4. დროებითი მოთავსების იზოლატორებში ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესება დროებითი მოთავსების იზოლატორის პერსონალის მომზადება/გადამზადების კურიკულუმის შექმნითა და სპეციალიზირებული ტრენინგების განხორციელების გზით	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	2014-2015	· დროებითი მოთავსების იზოლატორის-ში დანერგილი მუშაობის ახალი სტანდარტი · საქართველოს მასშტაბით გადამზადებული დროებითი მოთავსების იზოლატორის პერსონალის რაოდენობა.
	4.2. ადამიანის უფლებები და საზოგადოებასთან ურთიერთობა	4.2.1. დაკავებულთა ინფორმირება მათი უფლებების შესახებ, დაბეჭდილი მასალის გამოყენებით	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	2014-2015	· სახალხო დამცველთან ან მთავარ პროკურატურაში შესაბამისი საჩივრების შემცირებისა და დადასტურების მაჩვენებელი; · საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური და საპარლამენტო ანგარიშები;
		4.2.2. შსს თანამშრომლების	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;		· მომზადებულია შესაბამისი საჭიროებების კვლევა;



		საქმიანობაზე (საგამოდიეო და პრევენციული) შიდა კონტროლის არსებული მექანიზმის რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს, აღნიშნული მექანიზმის ეფექტურობას და სისტემურ დამოუკიდებლობას	მთავარი პროკურატურა	2014-2015	<ul style="list-style-type: none"> · მომზადებულია შესაბამისი რეკომენდაციები; · შესწავლილია სხვა ქვეყნების გამოცდილება; · მომზადებული და ინიცირებულია შესაბამისი ცვლილებების პროექტი.
		4.2.3. ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შსს-ს დმი-ს სტანდარტული ოპერატიული პროცედურებისა (SOP) და ქვევის ინსტრუქციების შემუშავება პროკურატურასთან თანამშრომლობით;	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; პროკურატურა	2014-2015	<ul style="list-style-type: none"> · შემუშავებულია სტანდარტული ოპერატიული პროცედურები და ქვევის ინსტრუქციები; · მუშაობის გაუმჯობესებული სტანდარტები;
		4.2.4. დანაშაულის პრევენცია არასრულწლოვანთა ცნობიერების ამაღლების გზით	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	2014-2015	პროექტში ჩართული სკოლებისა და მოსწავლეების რაოდენობა
		4.2.5. პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, საზოგადოების მუდმივად ინფორმირებით ვებ-გვერდის, სოციალური მედიისა და რგოლების, რადიო გადაცემის, საინფორმაციო ბროშურების საშუალებით	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	2014-2015	<ul style="list-style-type: none"> · შსს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია; · გადაცემები, ბროშურები
	4.3 შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარება	4.3.1. ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით დროებითი მოთავსების ობოლატორების ინფრასტრუქტურის განვითარება და შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	2014-2015	<ul style="list-style-type: none"> · დროებითი მოთავსების ობოლატორების ინფრასტრუქტურა გაუმჯობესებულია; · საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური და საპარლამენტო ანგარიშები;
					არალეგალ მიგრანტთა ქვეყნიდან გაძევების



		4.3.2 მსს-ს ინფრასტრუქტურის განვითარება არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის სფეროში	შინაგან საქმეთა სამინისტრო	2014-2015	შექანიზმები გაუმჯობესებულია ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.
--	--	---	----------------------------	-----------	---

5. სასჯელაღსრულების სისტემა, პრობაცია და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია

მიზანი	ამოცანა	საქმიანობა/ ლონისძიება	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ვადა	ინდიკატორი
5.1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება	5.1.1. პენიტენციურ სისტემაში მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების სისტემატური გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერების კუთხით	5.1.1.1. საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებისა და შიდა რეგულაციების შემცველი დოკუმენტაციის მომზადება და ინიცირება	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო	2014-2015	მომზადებული და ინიცირებულია შესაბამისი ცვლილებები
	5.1.2. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ადმინისტრირების შემდგომი განვითარება	5.1.2.1. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სრულყოფა	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2014-2015	სტანდარული საოპერაციო პროცედურების შემუშავება, ადმინისტრირების მხრივ შიდა კონტროლის მექანიზმების გაძლიერება.
		5.1.2.2. თანამშრომლებისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაოთა აღწერილობების შემუშავება და მათი ატესტაცია	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2014-2015	- შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები სამუშაოთა აღწერილობებით - ატესტაცია გავლილი თანამშრომელთა რაოდენობა
		5.1.2.3. ტრენინგები პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისთვის, მათ შორის ადმინისტრირების, შიდა კონტროლის, მენეჯმენტის, ადამიანის უფლებების და სხვა დარგებში	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2014-2015	ტრენინგების შედეგად სერთიფიცირებულ თანამშრომელთა რაოდენობა
	5.1.3. პატიმრობის პირობების გაუმჯობესება, მათ შორის სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფების - ქალების, არასრულწლოვნების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა - საჭიროებათა გათვალისწინებით	5.1.3.1. პენიტენციური სისტემის დაწესებულებათა განახლებული კლასიფიკაცია	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2014-2015	რისკის და რესოციალიზაციის საჭიროებათა შესაბამისად თავისუფლებადაცვეთილი / შეზღუდულ პირთა შესაბამისი ტიპის დაწესებულებებში განთავსების პროცენტული მაჩვენებელი
		5.1.3.2. პენიტენციურ სისტემაში არსებული დაწესებულებების ინფრასტრუქტურული გამართვა და მათი შესაბამისად აღჭურვა	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2014-2015	- გარემონტებულ და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილ დაწესებულებათა რაოდენობა - სახალხო დამცველის სპეციალური და საპარლამენტო



				ანგარიშები
		5.1.3.3 პენიტენციურ სისტემაში განთავსებულ პატიმართა კვების სტანდარტის პერიოდული შეფასება და შედეგებზე დაყრდნობით სტანდარტის განახლება	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2014-2015 პერიოდული შეფასება სტანდარტის განახლება ყველა პატიმრის უზრუნველყოფა
		5.1.3.4. პენიტენციურ სისტემაში განთავსებულ პატიმართა რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით უზრუნველყოფილ პატიმართა რაოდენობა;	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2014-2015 - რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით უზრუნველყოფილ პატიმართა რაოდენობა; - სახალხო დამცველის სპეციალური და საპარლამენტო ანგარიშები
		5.1.3.5. მსჯავრდებულთა ოჯახთან ურთიერთობის უფლების უზრუნველსაყოფად გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ადგილების შექმნა	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2014-2015 - გრძელვადიანი ვიზიტებისთვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა; - ოჯახთან ურთიერთობის უფლებით უზრუნველყოფილ თავისუფლება აღკვეთილ პირთა რაოდენობა; - პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშები
		5.1.3.6. თავისუფლება აღკვეთილთა ახლობლების, ოჯახის წევრების და სხვა დაინტერესებულ პირთათვის კანონით გათვალისწინებული მომსახურების გაუმჯობესება	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2014-2015 - მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შექმნილი საზოგადოებრივი მისაღების შენობების რაოდენობა; - საზოგადოებრივი მისაღების მომსახურებით უზრუნველყოფილ ადამიანთა რაოდენობა - საზოგადოებრივ მისაღებებში "შენიშვნათა ყუთის" განთავსება; - ყუთში მოთავსებული კომენტარების ანალიზი;
		5.1.3.7. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ქვეყანაში აღიარებული და დანერგილი პროფესიული და სამომსახურეო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2014-2015 - პენიტენციურ სისტემაში სიკვდილიანობის სტანდარტული მაჩვენებელი - ინფექციურ დაავადებებზე (აივ/შიდსი, ტუბერკულოზი, C ჰეპატიტი) კონსულტირების, ტესტირების, და მკურნალობის მაჩვენებლები; ასევე გავრცელების მაჩვენებლები; - სამედიცინო პერსონალის თანაფარდობა პატიმართა რაოდენობასთან - პირველადი ჯანდაცვისა და სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურებით (რეფერალი) მოცივის და



					უტილიზაციის მარკენებლები
		5.1.3.8 ქალთა, არასრულწლოვანთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თავისუფლება აღკვეთილთათვის სპეციალური პირობების შექმნა	საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო	2014-2015	<p>- საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზის გაუმჯობესება</p> <p>- საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საჭიროებათა შესწავლა შეზღუდული პირების, არასრულწლოვანებისა და ქალ ბრალდებულ/ მსჯავრდებულთა სპეციფიკური საჭიროებების მეტად გამოსაკვეთად;</p> <p>- შესწავლის შედეგად გამოვლენილ საჭიროებათა ეტაპობრივი გათვალისწინება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას.</p>
5.1.4. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია	5.1.4.1. საწარმოო ზონების და მინი დასაქმების კერების შექმნა პატიმართა შრომითი შესაძლებლობების გაზრდის მიზნით	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2014-2015	<p>- სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შექმნილ, საწარმოო ზონების და მინი დასაქმების კერების რაოდენობა;</p> <p>- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე დასაქმებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა.</p>	
	5.1.4.2. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განათლების მიღების და ალტერნატიული პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2014-2015	<p>- დაწესებულებებში მიმდინარე საგანმანათლებლო, პროფესიული და სხვა სარეაბილიტაციო კურსები შესაბამისობაში ეროვნულ სტანდარტებთან</p> <p>- საგანმანათლებლო, პროფესიულ და სხვა სარეაბილიტაციო კურსებში ჩართულ და სერტიფიცირებულ პატიმართა რაოდენობა</p>	
	5.1.4.3. ბრალდებულ/მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით ეფექტური სარეაბილიტაციო პროგრამების და სერვისების შემუშავება	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2014-2015	მსჯავრდებულთათვის მიწოდებული პროგრამების და სერვისების რაოდენობა	
	5.1.4.4. მსჯავრდებულებთან მიმართებაში სასჯელის დაგეგმვის ინდივიდუალური მიდგომის მეთოდოლოგიის გამოყენება პილოტური ი სახით რიგ დაწესებულებებში	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2014-2015	სასჯელის დაგეგმვის ინდივიდუალური მიდგომით უზრუნველყოფილ მსჯავრდებულთა რაოდენობა	
5.1.5. პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების მექანიზმის შემდგომი გამდიობა	5.1.5.1. პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების მექანიზმის შემდგომი განვითარება	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2014-2015	<p>- ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის ზრდა</p> <p>- ქალი პატიმრებისათვის ადგილობრივი საბჭოს ჩამოყალიბება</p> <p>- სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების/კომისიის მიერ</p>	



					დანიშნული სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის რაოდენობა
		5.1.5.2. ადგილობრივი საბჭოების და მუდმივმოქმედი კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებების დაფუძნება სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგიაზე პილოტური დაწესებულებების შემთხვევებში	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2014-2015	მიღებულ გადაწყვეტილებათა ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება
	5.1.6. პატიმართა სამართლებრივი გარანტიების გაძლიერება	5.1.6.1. პატიმართა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების შესახებ საჩივრების, დისციპლინარულ და ადმინისტრაციულ პროცედურებთან მიმართებაში	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2014-2015	დაბეჭდილი სხვადასხვაენოვანი საინფორმაციო ბროშურების/პლაკატების რაოდენობა პატიმართა უფლებების შესახებ; - მსჯავრდებულთათვის მოთხოვნის შესაბამისად გადაცემული ბროშურების რაოდენობა
		5.1.6.2 პატიმრობის, კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობა	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2014-2015	მსჯავრდებულთათვის უზრუნველყოფილი სპეციალური საჩივრის კონვერტთა რაოდენობა
	5.1.7. სამინისტროს და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შიდა მონიტორინგის მექანიზმების ეფექტური ფუნქციონირება	5.1.7.1. მონიტორინგის მექანიზმების მეთოდოლოგიის შემდგომი დახვეწა და პრაქტიკაში იმპლემენტაცია	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2014-2015	განახლებული მეთოდოლოგია შესაბამისი ტრენინგების პრაქტიკაში დანერგვა
	5.1.8. სამინისტროსთან არსებული ეფექტიანი საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის შექმნა	5.1.8.1. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან შემდგარი მონიტორინგის საბჭოს ჩამოყალიბება	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2014-2015	- შესაბამის კანონმდებლობაში ცვლილებები ინიცირებულია - მონიტორინგის საბჭო ჩამოყალიბებულია, მონიტორინგის მეთოდოლოგია შემუშავებულია, მონიტორებს გავლილი აქვთ ყველა შესაბამისი ტრენინგი
5.2. პრობაციის სრულყოფილი სისტემა	5.2.1 – სსიპ -სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება	5.2.1.1 ინფრასტრუქტურის განვითარება	სსიპ-არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს	2014	პრობაციის ცენტრალური და თბილისის ბიუროს ახალ ოფისში გადასვლა
		5.2.1.2 პრობაციის სამსახურის სტრუქტურის განვითარება	სსიპ-არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	2014	სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს შექმნა
		5.2.1.3 - პრობაციის ოფიცერთა დატვირთვის შემცირება	სსიპ –არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	2014-2015	პრობაციონერთა საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე
		5.2.1.4. ვიდეოპაემნის სერვისი	სსიპ-არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	2014-2015	ვიდეოპაემნის მომსახურების გაფართოება, დამატებითი ერთი წერტილით
		5.2.1.5. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ამოქმედება	სსიპ-არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	2014-2015	თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების გამართულად ფუნქციონირება



		5.2.1.6. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება	სსიპ-არასპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	2014-2015	პრობაციის გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა
5.2.2. საკანონმდებლო ბაზის განვითარება		5.2.2.1. საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და ინიცირება	საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო; სსიპ-არასპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს	2014-2015	მომზადებულია და ინიცირებული შესაბამისი ცვლილებები
5.2.3. ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება		5.2.3.1. საქმის წარმოებისთვის სპეციალურ ელექტრონული მონაცემთა ბაზის ადმინისტრირება	სსიპ-არასპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს	2014-2015	ბაზაში რეგისტრირებულ პრობაციონერთა პროცენტული მაჩვენებელი
		5.2.3.2. პრობაციის ოფიცრები რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით მსჯავრდებულებთან მუშაობა	სსიპ-არასპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს	2014-2015	რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის სტატისტიკური მაჩვენებელი
5.2.4. სარეაბილიტაციო პროგრამების და საზოგადოების ჩართულობის განვითარება		5.2.4.1. პრობაციონერთათვის სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება	სსიპ-არასპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს არასამთავრობო სექტორი	2014-2015	სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულ პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა
		5.2.4.2. პირობით მსჯავრდებულთა დასაქმების ხელშეწყობა	სსიპ-არასპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო კერძო და სახელმწიფო სექტორი	2014-2015	დასაქმებულ პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა
		5.2.4.3. სპორტული აქტივობები	სსიპ-არასპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	2014-2015	სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში ჩართულ პრობაციონერთა რაოდენობა
		5.2.4.4. შემეცნებით-კულტურული ღონისძიებები	სსიპ-არასპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო არასამთავრობო ორგანიზაციები	2014-2015	შემეცნებით-კულტურული ღონისძიებებში ჩართულ პრობაციონერთა რაოდენობა
		5.2.4.5. საქველმოქმედო და ჰუმანიტარული აქციები	სსიპ-არასპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო არასამთავრობო ორგანიზაციები	2014-2015	საქველმოქმედო და ჰუმანიტარული აქციებში ჩართულ პრობაციონერთა რაოდენობა
5.2.5. პრობაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესება		5.2.5.1. პრობაციის ეროვნული სააგენტოს წლიური ანგარიში	სსიპ-არასპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის	2014-2015	პრობაციის სისტემის შესახებ საზოგადოებაში ადეკვატური



			ეროვნული სააგენტო		ინფორმაციის არსებობა
		5.2.5.2. საინფორმაციო ვიდეო რგოლების დამზადება, სხვადასხვა შინაარსის ფლაერებისა და ბუკლეტების დაბეჭდვა	სსიპ-არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დონორი ორგანიზაციები	2014-2015	პრობაციის სისტემის შესახებ საზოგადოებაში ადეკვატური ინფორმაციის არსებობა
5.3. ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ადამიანის უფლებათა დაცვის საუკეთესო სტანდარტების გათვალისწინება	5.3.1. ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ერთიანი სტრატეგიის შემუშავება	5.3.1.1. საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაბამისი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.	სსიპ-დანაშაულის პრევენციის ცენტრი; სასჯელაღსრულების დეპარტამენტი; სსიპ-არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	2014	მომზადებული და შექმნილია შესაბამისი დოკუმენტი
	5.3.2. რეაბილიტაციის პროცესის უწყვეტობა	5.3.2.1. გათავისუფლებამდე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მუშაობის დაწყება, გათავისუფლებისთვის მომზადება	სსიპ- დანაშაულის პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრი სასჯელაღსრულების დეპარტამენტი	2014-2015	პროგრამაში ჩართული ყოფილი პატიმართა რაოდენობა
	5.3.3. ყოფილი პატიმრებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარება	5.3.3.1. ყოფილი პატიმრებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება	სსიპ - დანაშაულის პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრი	2014 - 2015	სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულ ყოფილ პატიმართა და ოჯახის წევრთა რაოდენობა
		5.3.3.2. ყოფილ პატიმართა დასაქმების ხელშეწყობა	სსიპ - დანაშაულის პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრი	2014 - 2015	დასაქმებულ ყოფილ პატიმართა რაოდენობა
		5.3.3.3. სპორტული აქტივობები.	სსიპ - დანაშაულის პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრი სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტრო	2014 - 2015	სპორტულ აქტივობებში ჩართულ ყოფილ პატიმართა და ოჯახის წევრთა რაოდენობა
		5.3.3.4. შემეცნებით-კულტურული ღონისძიებები	სსიპ- დანაშაულის პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრი	2014 - 2015	შემეცნებით-კულტურული ღონისძიებებში ჩართულ ყოფილ პატიმართა და ოჯახის წევრთა რაოდენობა
		5.3.3.5. ყოფილ პატიმრებთან მომუშავე თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება	სსიპ - დანაშაულის პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრი	2014-2015	გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა
	5.3.4. ყოფილი პატიმრების პროფესიული განათლება	5.3.4.1. ყოფილი პატიმრებისთვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა	სსიპ - დანაშაულის პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრი განათლების და მეცნიერების სამინისტრო	2014 - 2015	პროფესიულ სწავლებაში ჩართული ყოფილ პატიმართა რაოდენობა
	5.3.5 საზოგადოების ინფორმირება და ჩართულობის გაზრდა	5.3.5.1. დანაშაულის პრევენციის ცენტრის წლიური ანგარიში	სსიპ - დანაშაულის პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრი	2014-2015	საზოგადოებაში ადეკვატური ინფორმაციის არსებობა



		5.3.5.2 საინფორმაციო ვიდეო რგოლი, სხვადასხვა შინაარსის ფლაერების, ბუკლეტების, პლაკატების დამზადება, სოციალური კამპანიის წარმოება	სსიპ - დანაშაულის პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრი	2014-2015	საზოგადოებაში ადეკვატური ინფორმაციის სარსებობა

6. წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან ზრმოლა

მიზანი	ამოცანა	საკმიანობა	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ვადა	შესრულების ინდიკატორი	
6. წამებასა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებთან ზრმოლა	6.1. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება	6.1.1. შესაბამისი ღონისძიებების წამებისა და არასათანადო მოპყრობის ეროვნულ გეგმაში ასახვა	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	2014-2015	<ul style="list-style-type: none"> გაეროს სახელმძღვანელო ორგანოების და წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის რეკომენდაციები; საკანონმდებლო რეგულაციების ცვლილებების პაკეტი/მთავარი პროკურორის სახელმძღვანელო პრინციპები საჯარო განცხადებები პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშები 	
		6.1.2. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ შიდაუწყებრივი აქტების გაანალიზება ეფექტურობისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით.	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო;			მთავარი პროკურატურა
		6.1.3. ზემოთ მოცემული ღონისძიებებში მითითებული ანალიზის საფუძველზე საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და წარდგენა, შიდაუწყებრივი აქტების გაუმჯობესება.	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;			საქართველოს სახალხო დამცველთან თანამშრომლობით
	6.2. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა საცხოვრებელი პირობებისა და ინსტიტუციური მოპყრობის გაუმჯობესება	6.2.1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ადეკვატური მატერიალური პირობების უზრუნველყოფა არსებული მდგომარეობის პერიოდული ანალიზისა და საჭირო ღონისძიებების გატარების გზით	საქართველოს მთავრობა	2014-2015	<ul style="list-style-type: none"> საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მოქმედი მონიტორინგის მექანიზმების შეფასებები და რეკომენდაციები 	
		6.2.2. რეაბილიტაციისა და მკურნალობისათვის ადეკვატური რეჟიმისა და უსაფრთხო გარემოს შექმნა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შესაბამისი დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობის გზით.	საქართველოს სამინისტრო			საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
			საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2014-2015	<ul style="list-style-type: none"> ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მოქმედი მონიტორინგის მექანიზმების შეფასებები და რეკომენდაციები საკანონმდებლო 	



				ცვლილებების პაკეტი; - პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში
			2014-2015	
6.3. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და თავისუფლებაზეზღუდულ პირთა მდგომარეობისა და მათ მიმართ მოპყრობის შიდა მონიტორინგის (ინსპექტირება) საქმიანობის გაუმჯობესება საკანონმდებლო და შიდაუწყებრივი რეგულირებით (პრო-აქტიური ინსპექტირების, დამოუკიდებლობის გაზრდის, ანგარიშგებისა და საჩივრებზე ეფექტური რეაგირების მექანიზმების დანერგვის ჩათვლით)	6.3.1. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და თავისუფლებაზეზღუდულ პირთა მდგომარეობისა და მათ მიმართ მოპყრობის შიდა (ინსპექტირება) და გარე მონიტორინგის გაუმჯობესება	საქართველოს მთავრობა/ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სახალხო დამცველთან თანამშრომლობით	საქართველოს მთავრობა; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორი; სახალხო დამცველთან თანამშრომლობით	- ცვლილებები მარეგულირებელ კანონდებლობაში - სახელმძღვანელო პრინციპები/ინსპექცია და ანგარიშების წარმოების მეთოდოლოგიის დოკუმენტები - ადეკვატური საბიუჯეტო მხარდაჭერა - პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში
		6.3.2. საპატიმრო და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში აუდიო-ვიდეო მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება (ტექნიკური უზრუნველყოფის გაზრდა, მონაცემების შენახვის ხანგრძლივობისა და დაცულობის გაზრდა, საერთაშორისოდ აღიარებული პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტების შესაბამისად)	საქართველოს მთავრობა; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორი; სახალხო დამცველთან თანამშრომლობით	2014-2015 - ცვლილებები მარეგულირებელ კანონდებლობაში - სახელმძღვანელო პრინციპები/ინსპექცია და ანგარიშების წარმოების მეთოდოლოგიის დოკუმენტები - ადეკვატური საბიუჯეტო მხარდაჭერა - პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში
		საქართველოს მთავრობა		



		<p>6.3.3. თავისუფლება დეკლარაციის პირთა მდგომარეობისა და მათი მოპყრობის გარე მონიტორინგის მექანიზმების გაძლიერება (მათ შორის სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმი, მარეგულირებელი კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით საკანონმდებლო აქტების მომზადების და წარდგენის, აგრეთვე ინსტიტუციური თანამშრომლობის მექანიზმების გაუმჯობესება</p>	<p>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო</p> <p>საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო</p> <p>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;</p> <p>სახალხო დამცველთან თანამშრომლობით</p>	<p>2014-2015</p>	<ul style="list-style-type: none"> · მონიტორინგის მექანიზმებზე რეაგირება და ანგარიშები · საკანონმდებლო აქტებში ცვლილებები · შიდაუწყებრივი აქტები პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში
